ინიციაციის ტიპის ფრანგული მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტები

FRENCH FICTION-LITERARY TEXTS OF INITIATION TYPE

ნინო ქავთარაძე

Nino Kavtaradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფრანგული საყმაწვილო ლიტერატურა, ინიციაციის ტიპის ნარატივი, ლე კლეზიო, ტურნიე

Keywords: French Young Adult literature, initiation type narrative, Le Cézio, Tournier

ფრანგულ საყმაწვილო ლიტერატურაში აღმზრდელობით, სათავგადასავლო, ფორმირებისა თუ ინიციაციის ტიპის მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებს ხშირად სინონიმებად მოიხსენიებენ, თუმცა მათ შორის არსებობს სხვაობა. აღმზრდელობითი და სათავგადასავლო ტიპის ნარატივისგან განსხვავებით, ინიციაციის ტიპის ნარატივს ახასიათებს: 1. ცხოვრების საიდუმლო აზრის ძიება (ციხესიმაგრის, ტაძრის, განძის, საიდუმლოების ...); 2. ფათერაკები (გაჭირვება, მარტოობა, "via dolorosa"); 3. ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა; 4. სიყვარულის, როგორც სულის შეცნობის საშუალების გააზრება; 5. წინამძღოლის არსებობა; 6. „საიდუმლო" ცოდნის შეძენა; 6. პროტაგონისტის მკვეთრი და სწრაფი მეტამორფოზა-სახეცვლა (გარდაცვალება), როგორც ახალი ცხოვრების საწინდარი.

თანამედროვე ფრანგი მწერლების მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებში, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინიციაციის ტიპის ნარატივი, ყველა ზემოხსენებული მახასიათებელი არ მოიძიება. მაგალითად, ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს პატარა ტექსტში „ლულაბი", სიუჟეტიდან გამომდინარე, არსად ჩანს ბოროტებასთან ბრძოლა. ტექსტის პროტაგონისტი მოზარდია, რომელსაც ოჯახური პრობლემები (დედის ავადმყოფობა და უმამობა) თავს მარტოსულად აგრძნობინებს. სიყვარულს იგი ბუნებასთან სიახლოვეში ჰპოვებს, რითიც ხდება მარტოობის და სასოწარკვეთილების გრძნობის დაძლევა. თვითშემეცნებისა და სოციალიზაციის გზაზე ლულაბის ერთადერთი თანამოაზრე ფიზიკის მასწავლებელია, ანტაგონისტი კი – სკოლის დირექტორი, რომელიც ლულაბისგან სასკოლო წესდების ზედმიწევნით შესრულებას ითხოვს. ტექსტი არც ფათერაკებზე მოგვითხრობს, თუმცა ზღვის სანაპიროზე სეირნობისას მიტოვებული ბერძნული სახლის აღმოჩენა, უცნობ ბიჭთან შეხვედრა, გაუგებარი წარწერა ლულაბისთვის საიდუმლოებასთან ზიარებად იქცევა, რის შედეგადაც გოგონა განსხ-

ვავებულად იწყებს არსებული რეალობის აღქმას. ლულაბის უეცარი სახეცვლა, ერთი შეხედვით, უცნაურიც კი შეიძლება იყოს, თუმცა ჟანრის თავისებურებიდან გამომდინარე, მკითხველისთვის გასაგები ხდება მწერლის ჩანაფიქრი. საყმაწვილო ლიტერატურის სპეციფიკა ორმაგი ადრესატის არსებობაა – უმცროსი და უფროსი თაობის წარმომადგენლების. თუ სავარაუდო ადრესატს მოთხრობილი ან ტექსტის მხატვრული მხარე ხიბლავს, იდეალურ რეციპიენტს მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში ინიციაციისთვის დამახასიათებელი ნიშნების დანახვა არ გაუჭირდება.

მკითხველს საქმე გაუადვილა მიშელ ტურნიემ, რომელმაც ტექსტს ქვესათაურად წაუმძღვარა „ინიციაციის ზღაპარი". მკითხველი ვერც ამ პატარა ტექსტში იპოვის ბოროტ ძალებს. ლე კლეზიოს პროტაგონისტისგან განსხვავებით, პატარა ამანდინს საუკეთესო, მზრუნველი და მოსიყვარულე მშობლები ჰყავს და არც საზრუნავი აქვს რამე. ცხოვრების საიდუმლო აზრის ძიება ოთხფეხა მეგობარზე დაკვირვებაა, რაც ათი წლის პროტაგონისტის მკვეთრ და სწრაფ მეტამორფოზას, ბავშვობის ასაკიდან გამოსვლას მოასწავებს.

ორივე ზემოხსენებულ ტექსტს აერთიანებს პუბერტული ასაის გამორჩეული პერსონაჟები, უჩვეულო ხიბლი და ხდომილობის სიმცირე, რაც ამ ტიპის ნარატივს მსგავსი ნარატივების თავისებურებებისგან განასხვავებს.

ლიტერატურა:

Le Clézio J. M. G. (1982). Mondo et autres histoires. Paris. 1982.

Tournier M. (1980). Le Coq de bruyère, Paris.

Шалимова Н. Роман инициации как инвариантная форма романа воспитания, https://cyberleninka.ru/article/n/roman-initsiatsii-kak-invariantnaya-forma-romana-vospitaniya

In French Young Adult literature, educational, adventure, formative or initiation-type literary texts are often referred to as synonyms, although there is a difference between them. In contrast to educational and adventure narratives, initiation narratives are characterized by: 1. Search for the secret meaning of life (fortress, temple, treasure, secret...); 2. Experience (poverty, loneliness, "via dolorosa"); 3. Fight against evil; 4. Understanding love as a means of knowing the soul; 5. Presence of a leader; 6. Acquisition of "secret" knowledge; 6. Sharp and fast metamorphosis-change (death) of the protagonist as the beginning of a new life.

Not all of the above-mentioned features can be found in the artistic-literary texts of modern French writers, which can be considered as initiation type narratives. For example, in the small text "Lullaby" by Jean-Marie Gustave Le Clézio, the fight against evil is nowhere to be seen. The protagonist of the text is a teenager whose family problems (mother's illness and absence of father) make him feel lonely. He finds love in proximity to nature, thus overcoming the feeling of loneliness and despair. On the path of self-awareness and socialization, Lullaby's only friend is the physics teacher, and the antagonist is the school director, who demands from Lullaby to strictly follow the school rules. The text doesn't tell us about dangers either, however, the discovery of an abandoned Greek house while walking along the seashore, a meeting with an unknown boy, an incomprehensible inscription for a Lullaby becomes communion with secrets, as a result of which the girl begins to perceive the existing reality differently. Lullaby's sudden change, at first glance, may even be strange, however, due to the caracteristics of the genre, the writer's intention becomes clear to the reader.

The youth literature is perceived by two addressee – representatives of the younger and older generations. If the intended addressee is fascinated by the narrative or the artistic side of the text, the ideal recipient will not find it difficult to see the signs of initiation in the literary text.

Michel Tournier made things easier for the reader, who subtitled the text «The Tale of Initiation». The reader will not find evil forces in this small text either. Unlike Le Clézio's protagonist, little Amandine has the best, caring and loving parents and has nothing to worry about. The search for the secret meaning of life is the observation of a four-legged friend, which will lead to a sharp and rapid metamorphosis of the coming of age story.

Both of the above-mentioned texts are united by the distinctive characters of puberty, the charm of the unknown and the lack of action, which distinguishes this type of narrative from the characteristics of similar narratives.

References:

Le Clézio J. M. G. (1982). Mondo et autres histoires. Paris. 1982.

Tournier M. (1980). Le Coq de bruyère, Paris.

Шалимова Н. Роман инициации как инвариантная форма романа воспитания, https://cyberleninka.ru/article/n/roman-initsiatsii-kak-invariantnaya-forma-romana-vospitaniya